თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 11

ქ. თერჯოლა 21 ნოემბერი 2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩხიკვაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ზურაბ ჩხიკვაძე, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. მამული კოვზირიძე, 7. მირზა აფრიდონიძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. მაკა ყიფშიძე, 11. ნატო კვეტენაძე, 12. გიორგი ბერეკაშვილი, 13. სოსო ჩაფიჩაძე, 14. სერგი ჯიხვაშვილი

კომისიის შემადგენლობა: 14 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 14 წევრი
კვორუმი: 8 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტის, 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართისა და 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282530260, 29.10.2025 წ.);

   მომხს.: ა.ურიადმყოფელი
   თანამომხს.: ზ.ჩხიკვაძე

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია ((თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-2825321100, 17.11..2025 წ.).

   მომხს.: ზ.ჩხიკვაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ავთანდილ ურიადმყოფელმა სხდომის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - 2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 23300.0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2026 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2650.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელის ზრდით.

2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 23300.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 20577.0 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 2123.0 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 300.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1410.0 ათასი ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3800.0 ათასი ლარი;

განათლება - 7375.0 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 3267.0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1800.0 ათასი ლარი;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია -5648.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1200.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4267.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 40.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 30.0 ათასი ლარი.
- ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

დავით გოგბერაშვილის შენიშვნები:

1. გაზრდილი იქნას ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ნაწილში - ჯარიმები, სანქციები და საურავები - 100 000 ლარით.

2. გაზრდილი იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები 50 000 ლარით.

3. სოციალური დაცვის დაფინანსება გაიზარდოს 150 000 ლარით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14 , წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩხიკვაძემ, კომისიის წევრებს გააცნო ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ - ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 400.0 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 37045.3 ათას ლარს.
საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 400. 0 ათასი ლარით გრანტი(რგფ).
ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 400.0 ათასი ლარით. გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ასიგნება გაიზარდა 400.0 ათასი ლარით, სოფელ გოდოგანში წყალწითელა-ქვაშავას უბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 400.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14, წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მოწონებული იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

ზურაბ ჩხივაძე